# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №176/ნ
## 2013 წლის 14 ნოემბერი

ქ. თბილისი

## „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,
**ვბრძანებ:**
**მუხლი 1**
„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 21/02/2011, 430010000.22.022.016055) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების (დანართი №1) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ“ ქვეპუნქტი:
,,დ) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.“.
**მუხლი 2**
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი** | **თამარ სანიკიძე** |